

ომარ მაგნიძე

თოფთან დაკავშირებული ზოგიერთი ტერმინის დაზუსტებისთვის

1. თოფის სწორდარული და მრუდდარული ლულები

ხელის ცეცხლსასროლი იარაღი ევროპაში ცნობილია მე-14 საუკუნიდან. დიდი ხნის განმავლობაში სანადირო იარაღი არ განსხვავდებოდა საომარი იარაღისაგან. განსხვავებამ თანდათან იჩინა თავი, სანადირო იარაღი (თოფი) უფრო მსუბუქი გახდა.

თავდაპირველად თოფის ლულას ამზადებდნენ რკინის ან ბრინჯაოსაგან. შემდეგ, დაახლოებით მე-17 საუკუნიდან, კი – ქ. **დამასკის**¹ ფოლადისგან. მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან ცეცხლსასროლი იარაღის ლულა სხმული ფოლადისგან მზადდებოდა გაბურღვის წესით. ბურღავდნენ სპეციალურ დაზგაზე, რომელსაც „თოფის ჩარხი“ ეწოდებოდა (კახიძე, 1974:62).

მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში სხვადასხვა ხარისხის ფოლადმა ჩაანაცვლა **დამასკის ფოლადი**, რომელსაც სხვადასხვა წყაროში ეწოდება **დამასკი**, **წითელი რკინა**, **ხვეული ფოლადი** (ბლუმი, შიშკინი, 1983:41). სწორედ მრგვალი ფორმის ხვეულ ფოლადს, ე.წ. „ვუნცას“, აძლევდნენ ფურცლის ლენტის ფორმას. ამ ფურცლოვან ლენტს შემოახვევდნენ ხის ბუდეში ჩასმულ რკინის ან ბრინჯაოს ლულას სიმტკიცისა და სილამაზის მისაცემად.

თოფის ლულის **შიგნედი** (შიგა სივრცე) თავდაპირველად ცილინდრი იყო, ხოლო 1498 წელს კი ქ. ვენის მეიარაღე გ. ცოლნერმა თოფის ლულის შიგნედს ლულის მთელ სიგრძეზე ორი პარალელური გვერდის მქონე ჩაღრმავებული რამდენიმე **ღარი**² (прямые углублённые **нарезы** – ბლუმი, შიშკინი, 1983 :5, 27) გაუკეთა.

¹ დამასკი (არაბ. დიმაშკ), სირიის არაბთა რესპუბლიკის დედაქალაქი. პირველი ცნობები დამასკის შესახებ ძვ.წ. მე-16 საუკუნეს მიეკუთვნება, ამ დროს დამასკი ემორჩილებოდა ეგვიპტის ფარაონებს (ქსე, 3:352).

² ჩაღრმავებული ღარის ორი დანარჩენი გვერდი წრფე აღარ არის, ისინი წარმოადგენს ლულაზე მდებარე ორი წრეწირის ორ პარალელურ და ტოლი სიგრძის რკალებს – ლულა ხომ ცილინდრია.

ასეთი ლულის შესატყვისი სწორი ტერმინი უნდა იყოს „სწორ-დარებიანი ლულა“ ან უფრო მარტივად „სწორდარული ლულა“, ნაცვლად სხვადასხვა ლექსიკონში მოწოდებული ტერმინებისა: **კუთხვილი ლულა** (ლექსიკონი, 1956: 53; ლექსიკონი, 2013: 366); **კუთხვილიანი ლულა** (ლექსიკონი, 2013: 344); **კუთხვილიანი, ჭდეული ლულა** (ტექნიკური, 1989: 236); **კუთხვილი ლულა** (ტექნიკური, 1920: 178; ტექნიკური, 1921: 213). ლექსიკონებში დადასტურებული ტერმინები არამართებულად მიგვაჩნია, რადგან იკარგება ტერმინი **ღარი**, რომელიც შიგნედის შემადგენელი ნაწილია.

„კუთხვილის“ ნაცვლად „დარულის“ შემოღება გამართლებულია იმითაც, რომ არსებობს რუსული ტერმინი „**рифлённый**“ – დარული (ლექსიკონი, 1959: 131; ლექსიკონი, 1983: 656) და აგრეთვე „დარვა“ – **рифление** (ლექსიკონი, 2013: 624). ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ **рифлённый** რუსულ ენაში შესულია ინგლისურიდან **rifle: ствол нарезной – the barell rifled** (ტარასიუკი, 1972:158) – **рифлённый ствол** და **нарезное оружие – rifle** (APC:649; Хантер: 51; Hunter:49); თანაც, **рифля – დარაკს** (ტექნიკური, 1989: 367) ნიშნავს.

აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სწორი ტერმინი იქნება **нарезной ствол – დარული ლულა!** გარდა ამისა, გვაქვს: **винтовой нарез – ხრახნილი ნაჭდევი** (ლექსიკონი, 1983:344; ლექსიკონი, 1958:53) და **нарезка винтовая – ხრახნილი კუთხვილი** (ტექნიკური, 1989:236). ჩვენი მსჯელობიდან გამომდინარე, სწორი და ცნების შესაბამისი ტერმინი იქნებოდა – **винтовой нарез, нарезка винтовая. – ხრახნღარი**


ტერმინი **ხრახნღარი** არ გამოიწვევდა უხერხულობას რუსულ ტერმინოლოგიაში რომ გვქონდეს - **ствол с винтовым нарезом – ხრახნღარული ლულა**, მაგრამ რუსულში ამ ცნებას შეესაბამება **винтовка (rifle) – შაშხანა**. ეს არის იარაღი, რომლის ლულაც არის **ხრახნღარული**. ამრიგად, ტერმინის ბუნდოვანება გამოიწვია არათანმიმდევრულობამ რუსულ ტერმინოლოგიურ სისტემაში. გარდა ამისა, **ღარის**

¹ როგორც ვხედავთ, კუთხვილი არ უკავშირდება კუთხეს და, მეორეც, ეს სახელწოდებანი ტერმინები არ არის, რადგან მათ აკლიათ არსებითი თვისება – **სიზუსტე**. თუკი „სწორდარული ლულა“ რაიმე უხერხულობას იწვევს, ის შეიძლება თავიდან ავიცილოთ ორი მიზეზის გამო: 1) „სწორდარული ლულა“ ზუსტია; 2) ამ ტერმინის დამკვიდრებას სჭირდება **შეჩვევა** (მიძიგური: 37), რაც დაიძლევა დროთა განმავლობაში.

მნიშვნელობა ასეთია – **გრძელი ხე შუა ამოჭრილი გასადინებლად წყალთა** (ჩუბინაშვილი, 1961: 408).

სხვათა შორის, ქართულში ტერმინ **винтик**-ის შესატყვისი – **ხრახნისის** (ლექსიკონი, 1956:131; ლექსიკონი, 1983:70) ნაცვლად კარგი იქნებოდა გვეხმარა ტერმინი **винтик** – **ხრახნაკი**, ცნობილი ტერმინების – **головка** – **თავაკი**, **значок** – **ნიშნაკი**, **частица** – **ნაწილაკი** და ა. შ. მსგავსად.

ჩაღრმავებული ღარების სწორხაზოვან გრძელ გვერდებს, რომელთა სისქე ასანთის ღერის სისქისაა და განფენილობა კი ორმაგი სისქის ტოლია, ეწოდება **ველი**. ისინი ამცირებენ ხახუნს გატყორცნილ ჭურვსა და ლულას შორის (ნადირობა, 1981: 454).



ნახ.1

სწორღარული ლულის მართ კვეთას (CO:456; OP:27), თუ ის 4-ღარიანია, ასეთი სახე აქვს (იხ. ნახ. 1).

ასეთი თოფის გასროლით წარმოქმნილ მაღალი ტემპერატურით დარბილებულ ჭურვში შეიჭრება ლულის ყოველი **ველი** (ტყვიის დნობის ტემპერატურა, 327°C, საგრძნობლად დაბალია სხვა ლითონის დნობის ტემპერატურასთან შედარებით). ველის შეჭრა ტყვიაში იწვევს ამ უკანასკნელის დეფორმირებას, ხოლო

მისი მასის გაფართოებული ნაწილი გადაიწევს ველის მოსაზღვრე ორივე **ღარში**, რადგანაც ღარი ჩაღრმავებულია, ამითაა გამართლებული ღარის არსებობა-საჭიროება.

მე-16 საუკუნის დასაწყისში დაამზადეს თოფი ისეთი ლულით, რომლისგანაც გასროლილი ჭურვი ასრულებდა **ბრუნვით** მოძრაობას წარმოსახვითი ღერძის გარშემო, რითაც მიიღწეოდა მიზანში მოხვედრის მეტი სიზუსტე უკვე დიდ მანძილზეც კი, ვიდრე სწორღარული ლულის შემთხვევაში. ასეთი ლულისთვის დამკვიდრებულია ტერმინი „**ხრახნილკუთხვილი ლულა**“ (ქსე, 10:695).

ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში აჯობებდა დაგვემკვიდრებინა ტერმინი **ხრახნღარებიანი ლულა** ან უფრო მარტივად **მრუდღარული ლულა** (**нарезки, винтообразно ведущие по всему каналу ствола** (ნადირობა, 1981:454; ბლუმი, შიშკინი, 1983:28).

ამასთან, ხრახნილი ველის **ბიჯის**¹ შემცირება, რითაც ველი უფრო დამრეცი ხდება (ციცაბო), იწვევს ჭურვის ბრუნვათა რიცხვის გაზრდას და, მაშასადამე, იზრდება მიზანში მოხვედრის ალბათობაც. ასეთ შემთხვევაში ჭურვს უკეთებენ დავიწროებულ წინა ნაწილს, რათა **ხრახნილმა ველმა** ჭურვის დეფორმირება არ გამოიწვიოს.

ღარების რაოდენობაა 4-7, ხოლო დიდი დიამეტრის ლულაში კი - 8-11. ღარის სიღრმე და სიგანე დამოკიდებულია ჭურვის მახასიათებლებზე. ღრმა (0,2 მმ-0,4 მმ) და განიერი ღარების მქონე ლულისთვის გამოიყენებოდა შედარებით რბილი ლითონისგან დამზადებული ჭურვი. მტკიცე ლითონისგან დამზადებულ ჭურვს კი იყენებდნენ 0,07მმ-0,15 მმ სიღრმის ღარების მქონე ლულისათვის (ნადირობა, 1981:454).

მე-19 საუკუნის შუახანებამდე სანადირო თოფს ჰქონდა ცილინდრული გლუვი ლულა. ღარებიანი იარაღი ფართოდ გავრცელდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა **სავაზნე კოლოფის** (казнозарядное) მქონე იარაღი².

ვის ეკუთვნის ცილინდრული ლულის ბოლო ნაწილის – **ტუჩის**, ოდნავ დავიწროების იდეა სამიზნეზე მეტი რაოდენობის **საფანტის**³ მიტანის (მეტი თავმოყრის) მიზნით, ზუსტად ცნობილი არ არის. ამასთან, ლულა მკვეთრად ვიწროვდება მხოლოდ ლულის ბოლოს და არა თანდათან (ნადირობა, 1981:455).

უკვე მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან საფანტის ზედაპირი სპილენძის თხელი ფენით იფარება გალვანური მეთოდით. ეს კი იწვევს: 1) საფანტისა და ლულის ხახუნის შემცირებას, რითაც იზრდება საფანტის სიჩქარე და, მაშასადამე, შედეგიც უკეთესია; 2) ლულა არ გაილაქება შიგნიდან ტყვიის ნამცეცებით; 3) მცირდება ტყვიის **მოწამლაგი** გავლენა ნანადირევზე.

¹ ხრახნილი ველის **ბიჯი** ეწოდება ველის იმ სიგრძეს, რომელიც საჭიროა მისი ერთი სრული შემობრუნებისთვის (ნადირობა, 1981:28).

² ტერმინი **სავაზნე კოლოფი** გამოყენებულია დამზადების აღწერილობაში (ქსე, 3:353).

³ **საფანტი** ეწოდება ტყვიისგან დამზადებულ მცირედიამეტრიან ბურთულებს. მათი ერთობლიობა ქმნის ერთი გასროლისთვის საჭირო ჭურვს, რომელიც გასროლისას **იფანტება**. საფანტის ნუმერაცია ასეთია: 4/0, 3/0, 2/0, 0,1,2,3,4,5,...,11 (CO:473).

ტყვიისგან განსხვავებული ლითონით დამზადებული საფანტის შედეგიანობა კი საგრძნობლად მცირეა (ბლიუმი, შიშკინი, 1983:111), რადგანაც წამლის აფეთქებით წარმოქმნილი ტემპერატურა მის ძლიერ გახურებას არ იწვევს. ამიტომაც ცივ და ქარიან ამინდში მცირე მანძილი უფრო მომგებიანია, რადგანაც საფანტი (თუნდაც იგი ტყვიის იყოს) მალე ცივდება.

ვიწრობოლოიანი ლულის ავტორად ზოგი ასახელებს ამერიკელ ფ. კიმბელს (1870წ), ზოგი კი – ისევ ამერიკელ დ. სმიტს (1827წ) (ბლიუმი, შიშკინი, 1983:5-6).

თანამედროვე გლუვლულიანი სანადირო თოფების უმრავლესობას აქვთ ვიწრობოლოიანი ლულა¹. 1885 წელს ინგლისელმა ჯ. ფოსბერმა დაამზადა **მრუდღარული** და **ვიწრობოლოიანი** ლულა, ე.წ. „პარადოქსი“ („парадокс“- (ნადირობა, 1981:455; ბლიუმი, შიშკინი, 1983: 6).

მე-19 საუკუნის შუა პერიოდამდე ჭურვის გასროლის ერთადერთი საშუალება იყო **კვამლიანი დენთი** (წამალი) (дымный порох – smoky powder). შემდეგ დაიწყო სხვადასხვა ეფექტის მქონე **უკვამლო დენთის** (бездымный порох – smokless powder) დამზადება. თანამედროვე ტიპის პირველი უკვამლო² დენთი 1884-1885წწ – ებში ფრანგმა პ. ვიელმა შექმნა.

უკვამლო დენთის ერთ-ერთი სახეობა მიიღო დიდმა ქიმიკოსმა დ.ი. მენდელეევა (1834-1907). უკვამლო დენთი „არწივი“ („сокол“) კი პირველად შეიქმნა 1890 წელს რუსეთში. ეს დენთი დღესაც გამოიყენება.

თავდაპირველად სანადირო თოფის ჭურვი ერთ მთლიან სხეულს წარმოადგენდა. **საფანტი** კი მე-16 საუკუნეში გამოიგონეს. ტყვისისაგან ამზადებდნენ როგორც სფერულ, ისე მოგრძო ფორმის (ღარბლულიანი თოფისთვის) ჭურვს, რომელსაც გარსი არ ჰქონდა. მე – 19 საუკუნის ბოლოდან უკვე **გარსიანი** (სპილენძის, ნიკელის და სხვა) ჭურვის დამზადებაც დაიწყო.

დიდხანს თოფი **ზუმბიანი** (шомпольный) იყო, რომლითაც ის დენთით და ჭურვით (საფანტით) იტენებოდა ლულის ბოლოდან – **ტუჩიდან**.

¹ ცნობილია სხვა ფორმის ლულებიც (ლომთაძე: 49).

² უკვამლო დენთსაც აქვს მცირეოდენი კვამლი, რომლის შემჩნევაც შეუძლებელია, თუ თოფის გასროლას დავაკვირდებით გვერდიდან მზის ჩასვლისას.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან ფართოდ გავრცელდა **სავაზ-ნე კოლოფით** აღჭურვილი თოფი.

ორლულიანი **გადსახსნელი** თოფი 1835-1836 წწ-ებში დაამზა-და ფრანგმა კ. ლეფოშემ. თავდაპირველად თოფს **გარე ჩახმახი** ჰქონ-და. (ჩახმახიანი თოფი). 1860 წლიდან გამოჩნდა სხვადასხვა მოდელის **უჩახმახო** (დაფარული, შიგაჩახმახიანი) თოფი.

თოფის კალიბრი მისი ლულის დიამეტრით შემდეგნაირად განისაზღვრება. თოფის ლულის დიამეტრის ტოლი რამდენი ბურთუ-ლაც დამზადდება ინგლისური სავაჭრო¹ ფუნტის (453,6 გრ) ან ფრან-გული ფუნტის (489,5 გრ) სუფთა ტყვიისაგან, თოფიც იმდენი კალიბ-რისაა (CO:454; OP:28).

ამის შესაბამისად, ქაღალდის მასრისთვის (бумажная гильза) სა-ერთაშორისო ნორმატივებია: 18,5 მმ 12 – კალიბრიანი ლულისთვის; 16,8 მმ 16 – კალიბრიანისთვის; 15,6 მმ 20 – კალიბრიანისთვის; 14,0 მმ 28 – კალიბრიანისთვის, ხოლო 12,7 მმ 32- კალიბრიანისთვის.

ლითონის მასრისთვის განკუთვნილი ლულის დიამეტრი 0,6-0,8 მმ-ით მეტია, ვიდრე ქაღალდის მასრისთვის განკუთვნილი ლულისა.

ღარული ლულის კალიბრი მის მოპირდაპირე ველებს შორის მანძილის ტოლია.

თოფის **ლულის სიგრძე** განაპირობებს ჭურვის სიჩქარესა და შორ მიზნამდე მიღწევას. ამის გათვალისწინებით, მიღებულია შემდე-გი სიგრძის ლულები: 28 – და 32- კალიბრიანებისთვის 62-68 სმ; 12 – და 16 – კალიბრიანებისთვის 68-72 სმ.

ლულების რაოდენობისა და მათი ურთიერთგანლაგების მი-ხედვით არსებობს ერთლულიანი, ორლულიანი, სამლულიანი და ოთხლულიანი თოფები, რომელთა ლულები შეიძლება განლაგებული იყოს ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად (CO:454-455), ამასთან ერთად, თითოეული ლულა შეიძლება იყოს **ცილინდრული, სწორღა-რული ან მრუდღარული**.

2. კაჟიანი თოფი ანუ წახნაგებლულიანი თოფი

2013 წლის 11-13 ივნისს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათ-მეცნიერების ინსტიტუტში გამართულ კონფერენციაზე “ტერმინო-

¹ სავაჭრო ფუნტი და არა აფთიაქის ფუნტი (373,2 გრ).


ლოგია-ქართული ენის ხვალინდელი დღე” წარმოდგენილ მაღალი დონის 35 მოხსენებათაგან ერთ-ერთი ეხებოდა რუსულ ტერმინ **нарезной** -სთვის მოწოდებულ ქართულ შესატყვის **კუთხვილს**.

მაშინ ჩვენ ეჭვი გამოვთქვით ტერმინის ქართული შესატყვისის შესახებ¹ და აღვნიშნეთ, რომ 1971 წელს უნგრეთის ქალაქ დიერში ერთ-ერთი ციხესიმაგრის დათვალიერებისას ვნახეთ თოფის ლულა, რომლის შიგა სივრცე ანუ ლულის **შიგნედი**² იყო წესიერი **შიდიკუთხა პრიზმა**. აღნიშნული მოხსენების მოხმენის შემდეგ ბუნებრივად გაგვიჩნდა სურვილი, მოგვეძებნა ასეთი ლულიანი თოფი.

სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის იარაღის ფონდში 2013 წელს საშუალება მოგვეცა, გვენახა მე-18 საუკუნის **ერთლულიანი კაჟიანი თოფები** (кремнёвое ружьё – flintlock rifle), რომელთა ლულების შიგნედი არის 7- ან 8 – კუთხა წესიერი **პრიზმა**. ასეთი ლულის მეზობელი წახნაგების შეერთების ხაზი, ანუ **წიბო**, შეწყულია ლულის სიღრმეში ასანთის ღერის სიმსხო ლითონით, რომლებზეც მისრიალებს ჭურვი. ასეთი ლულის მართი კვეთა სქემატურად ასე გამოისახება (იხ. ნახ. 2).

ლულების სიგრძეა 100 სმ, 160 სმ და მეტიც, როგორც ამ ფონდის კურატორმა, ბატონმა მამუკა ქაფიანიძემ, განგვიმარტა, ასეთი ლულები მზადდებოდა

მაჭახელაში (აჭარა), სვანეთში და სხვაგანაც. ლულისათვის საჭირო მასალა შემოჰქონდათ ქ. დამასკიდან ე.წ. „ვუნცას“ სახით.



ნახ. 2

ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ბატონმა ნოდარ კახიძემ გვიამბო (2014 წელს) ერთლულიანი კაჟიანი თოფის, **მაჭახელას**, შესახებ (კახიძე, 1974:60-64), რომლის ერთადერთი **პასპორტიანი** ეგზემპლარი ინახება ქუთაისის ნიკო

¹ და ისიც აღვნიშნეთ, რომ სავსებით ვეთანხმებით მომხსენებელთა წინადადებას ლექსიკონში ცალკე ერთეულებად ზოგიერთი მყარი შესიტყვების შეტანის აუცილებლობის შესახებ.

² **შიგნედი** (внутренность) ეწოდება ფიზიკური სხეულის შიგა სივრცეს.

ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში¹.

ქუთაისის მუზეუმის **ეთნოლოგიური** კოლექციის კურატორმა, ბატონმა მირიან სტეფანამ, გვაჩვენა (2014 წელს) **მაჭახელას კაჟიანი ერთლულიანი თოფი**, რომლის ლულის შიგნედი წესიერი 8 – წახნაგიანი პრიზმაა. ლულის სიგრძეა 117 სმ, კონდახისა კი – 28 სმ, ე. ი. თოფის მთლიანი სიგრძეა 145 სმ. ლულის მოპირდაპირე წახნაგებს შორის მანძილია 14 მმ, ხოლო გარე მოპირდაპირე წახნაგებს შორის კი – 25 მმ.

ეს თოფი ქუთაისის მუზეუმში² მიუღიათ 1928 წლის 7 იანვარს აკაკი კობიძისგან, შ. წ. 2807/B-7 (ეს არის მეშვიდე ნომრით ერთ-ერთი პირველი).

ამ თოფს აქვს **კაჟიანი საკვესი** მექანიზმი, ანუ **კაჟიანი ჩახმახი** და ღარის ფორმის **დენტის თარო** (пороховница – powder flask). მასზე დაყრილ დენტს დასველება-გაფანტვისაგან იცავს კვესი³.

სასხლეტის გამოკვრისას, ჩახმახში მყარად ჩამაგრებული **კაჟი** ეკვეთება ვერტიკალურად დამაგრებულ **კვესს**. ეს გამოიწვევს **ნაპერ-წვალს**, რომელიც გამოაჩენს თაროზე განთავსებულ დენტს და **ააა-ლებს** კიდეც მას. ამასთან ერთად, თაროზე დაყრილი დენთი ლულის, ე.წ. **ამწთები ნახვრეტით** (затравочное отверстие, ОП:7), უერთდება ლულაში დენტს და შედეგად ლულაში **ფეთქდება** დენთი და იქიდან **ჭურვი გამოიტყორცნება**.

¹ მაჭახელას ხეობის სახელოსნოებში ძირითადად მზადდებოდა ორი სახის **კაჟიანი ერთლულიანი** თოფი: **თოფხანე** და **ნალფარა**. თოფხანე ნაკეთობით გამოირჩეოდა – იგი იყო მოსევადებული (მეტწილად ვერცხლითა და ძვლით, ზოგ შემთხვევაში კი ოქრო-ვერცხლითაც ამკობდნენ). მას ჰქონდა **ხრახნიანი** ლულა, რომელსაც წრიულად ფოლადისა და რკინის ლენტებს შემოახვევდნენ მთელ სიგრძეზე და დაადუღებდნენ. ნალფარა შემკულობითა და ლულის დამზადების ტექნიკით ჩამოუვარდებოდა თოფხანეს (კახიძე, 1974:61). საინტერესოა თვით ტერმინი ნალფარა, რადგანაც რკინა არცთუ ისე იოლი საშოვარი იყო, თოფის თუ დამზადების ლულა ნალფარისგან მზადდებოდა. გადმოცემით ეს ტერმინი მჭედლობაში გულისხმობს რკინის ნაკუწებისგან, უმთავრესად „ნალების ანაცვეთებისგან“, რაიმე ნივთის გაკეთებას. ამგვარი ახსნა აქვს „ნალფარას“ რაჭის, ქართლის (მეჯვრისხევის), მთიულეთისა და საქართველოს სხვა კუთხის მჭედლობაში (კახიძე, კულტურა :104).

² 1912 წელს დაარსდა ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელსაც მუზეუმის განყოფილება ჰქონდა, 1922 წელს კი მუზეუმი გაიხსნა.

³ არის ისეთი კაჟიანი თოფიც (მაგალითად, ს. ჯანაშიას მუზეუმში), რომლის კვესი არ ფარავს წამლის თაროს.

ქუთაისის მუზეუმში დაცული „მაჭახელას“ 8-წახნაგიანი ლულის ყოველი ორი მეზობელი წახნაგის შეერთების ხაზი-წიბო ლულის შიგნით კი არ შედის, როგორც სიმონ ჯანაშიას მუზეუმის 7- და 8 – წახნაგიან ზოგიერთ ლულას აქვს, არამედ გარეთ არის გაწეული. ამის გამო ჭურვი მისრიალებს წახნაგებზე და გაფართოებული ტყვია გადაედინება ხაზი-წიბოსკენ.

ქუთაისის მუზეუმში ინახება **სამიზნე სადგარი მძიმე** თოფის-თვის და **საპირწამლე**, რომლის გვერდზე მოთავსებულია გამოსაწევი ფირფიტა. ამ ფირფიტის გამოწევის შემდეგ დენტის (წამლის) ჭურჭელს გადმოაბრუნებდნენ, შედეგად მთელი დენთი ჩამოიყრებოდა ხოლმე. ამის შემდეგ გამოწეულ ფირფიტას შიგნით შესწევდნენ და ფირფიტა ზუსტად მოკვეთდა საჭირო რაოდენობის დენტს, რომელსაც ჩაყრიდნენ თოფის ლულაში მისი ბოლოდან, ანუ ლულის ტუჩიდან.

ამავე წესით ამზადებდნენ რამდენიმე გასროლისთვის საჭირო დენტს. თითოეულს ჩაყრიდნენ სპეციალურ **ქილაში**, რომელსაც ტანსაცმელზე იმაგრებდნენ. ასე გაჩნდა ქართულ ჩოხაზე ქილები!

შევნიშნავთ, რომ საფანტისთვის გამოდგება მხოლოდ გლუვ-ლულიანი თოფი. ამიტომ ძველად იყვნენ ხელოსნები, რომელთაც შეემძლოთ სხვა თოფისგან გლუვლულიანი თოფი დაემზადებინათ ლულის შიგნიდან გამოხვეწით (კახიძე, 1975:61).

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ არსებობს **კაჟიანი ორლულიანი თოფიც** (двуствольное кремнёвое ружьё – flintlock double-barrelled rifle, RAA:113(a)).

ლიტერატურა

ბლუმი, შიშკინი, 1983 – М.М. Блюм, И.Б. Шишкин, Охотничье ружьё, Москва, 1983.

კახიძე, 1974 – ნ. კახიძე, მაჭახელას ხეობა, ბათუმი;

კახიძე, კულტურა, 1974 – ნ. კახიძე, ცეცხლსასროლი იარაღების წარმოების ისტორიიდან აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურა და ყოფა, II, “მეცნიერება”, თბილისი;

ლექსიკონი, 1956 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი;

ლექსიკონი, 1958 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 2, თბილისი;

ლექსიკონი, 1959 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 3, თბილისი;

ლექსიკონი, 1983 – რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი;

ლექსიკონი, 2013 – ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი;

ლექსიკონი, 1970 – – Англо-русский словарь, Москва;

ლომთაძე, 2011 – ოთარ ლომთაძე, სანადირო თოფი, თბილისი

ნადირობა, 1981 – Спортивная охота в СССР, Москва;

რუსული იარაღები, 1982 – Russian Arms and Armour, Leningrad.

ტარასიუკი, 1972 – Л. Тарасюк, Старинное огнестрельное оружие в собрании Эрмитажа. Европа и северная америка. Ленинград;

ტექნიკური, 1920 – რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი), შედგენილი საქართველოს ტექნიკური საზოგადოების სატერმინო სექციის მიერ, საშევარდენო ტანვარჯიშის ტერმინოლოგიის დამატებით, ტფილისი, სახელმწიფო სტამბა;

ტექნიკური, 1921 – რუსულ-ქართული ტექნიკური ლექსიკონი (სიტყვარი), შესწორებული და შევსებული, ტფილისი;

ტექნიკური, 1989 – ტექნიკური ტერმინოლოგია (რუსულ-ქართული ნაწილი), მესამე შესწორებული გამოცემა, თბილისი;

ქსე, 1977 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბილისი;

ქსე, 1986 – ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბილისი, 1986.

ჩუბინაშვილი, 1961 – ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი;

ძიძიგური, 1978 – შოთა ძიძიგური, ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა, „მეცნიერება“, თბილისი;

ჰანტერი, 1991 – Д. Хантер, Охотник, перевод с английского, Москва;

Omar Dzagnidze

For Defining Some Terms Related To Gun

Summary

In the work, on the basis of discussion, the term **sçoryaruli lula** is established instead of terms provided by various dictionaries such as: **kutxvili lula**, **ḡutxviliani lula**, **lutxviliani**, **ḡdeuli lula**.

we also consider advisable correspondences such as: „нарезной ствол–**ḡaruli lula** – the barell rifled; винтовой нарез ან нарезка винтовая – **xrax-nḡari**; винтик – **xraxnaḡi**; **mrudḡarebiani lula** or simply **mrudḡaruli lula**.

The flint gun – кремнёвое ружьё – flintlock rifle is discussed in the letter.